58 ამხი ო. ი. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალურ-საესტრადო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ოლღა იასონის ასული **დოლიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი, 1974 წლის 22 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

59 პროფ. ა. ტ. ხვიჩიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი ალექსანდრე ტაგუს ძე **ხვიჩია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1974 წლის 22 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 ამხ. ო. ნ. აივაზაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ახმეტის რაიონის ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, მეაბრეშუმეობის დარგის ნოვატორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ამხ. ოსანა ნიკოლოზის ასული **აივაზაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1974 წლის 25 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

61 ამხ. გ. გ. ბილიხოძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გრიგოლ გაბრიელის ძე **ბილიხოძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1974 წლის 25 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

62 ამხ. შ. გ. მწითურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. შალვა გაბრიელის ძე **მწითური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1974 წლის 25 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

63 ამხ. გ. ნ. აბრამაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სატყეო მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „სახტყეტრანსპროექტის“ საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე ამხ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე **აბრამაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1974 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

64 ამხ. ა. ს. ათანელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს სახელმწიფო ინსპექტორი ამხ. ალექსანდრე სიმონის ძე **ათანელიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1974 წლის 26 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

65 ამხ. ა. ბ. არგუნ-კონოშოკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, სოხუმის ს. ჩანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ანა ბიდოს ასული **არგუნ-კონოშოკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 გენერალ-ლეიტენანტ ი. ი. იურკოლსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ახალგაზრდობის სამხედრო პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის გენერალ-ლეიტენანტი ივანე ივანეს ძე **იურკოლსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის, გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსის და კრწანისის სასათბურე კომბინატის პირველი რიგის სამუშაოების ვადაზე ადრე ჩაბარების, 1973 წლის სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ნოდარ შალვას ძე **ადეიშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 1 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ვიტალი თევდორეს ძე **ალექსანდროვი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქსოფლმშენმონტაჟის“ № 3 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის რაზმის უფროსი.

3. ილია ლონგინოზის ძე **ბრეგვაძე** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქსოფლმშენმონტაჟის“ № 9 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის მთავარი ინჟინერი.

4. მიხეილ ლევანის ძე **გოგოძე** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის სამმართველოს № 4 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

5. თამაზ გიორგის ძე **დაუშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის № 5 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

6. აივაზ ანასტასის ძე **ემინოვი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 21 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

7. გიორგი ივლიანეს ძე **იობაძე** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 27 მოძრავი მექანიზებული კოლონის მთავარი ინჟინერი.

8. კარახმან ხეირადინ ოღლი **ისაევი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცენტრალური ავტოსაწარმოს მძღოლი.

9. ევგენი ალექსანდრეს ძე **კალიმაგინი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის სამმართველოს № 42 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის მეამწე-მემანქანე.

10. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **კვირაია** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის სამმართველოს № 42 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

11. კონსტანტინე იაკობის ძე **კოვზირიძე** — გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.

12. სერგო სერგოს ძე **ლაბარტყავა** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის სამმართველოს ბეტონის ქარხნის დირექტორი.

13. ალექსანდრა გიორგის ასული **მანელოვა** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 27 მოძრავი მექანიზებული კოლონის მებეტონე.

14. მირიან ილიას ძე **მერაბიშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლო-

14.50/

ბის სამმართველოს № 29 მოძრავი მექანიზებული კოლონის სამუშაოთა მწარმოებელი.

15. ჯუანშერ გიორგის ძე **მხეიძე** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 37 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

16. თამაზ იოსების ძე **ომიაძე** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 27 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

17. ვლასი გიორგის ძე **ყორყოლიანი** — გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე.

18. სიმონ შალვას ძე **ულენტი** — გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მექანიკოსი.

19. ალექსანდრე ილარიონის ძე **რევაზიშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქსოფლმშენმონტაჟის“ № 1 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

20. გიორგი დავითის ძე **შათირიშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქსოფლმშენმონტაჟის“ მმართველის მოადგილე.

21. ირაკლი კონსტანტინეს ძე **ტყეშელაშვილი** — გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსის მშენებლობის ტექზედამხედველი.

22. ამბროსი ალექსის ძე **ლლიღვაშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის სამმართველოს № 29 მოძრავი მექანიზებული კოლონის სამუშაოთა მწარმოებელი.

23. ალექსი ირაკლის ძე **ხახუტაშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქსოფლმშენმონტაჟის“ № 9 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის სამუშაოთა მწარმოებელი.

24. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ხვადაგიანი**—საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის სამმართველოს № 42 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის სამუშაოთა მწარმოებელი.

24. გურამ ვალერიანის ძე **ხომერიკი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქსოფლმშენინდუსტრიის მთავარი ინჟინერი.

26. ზურაბ სერგოს ძე **ჯაფარიძე** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე.

27. კახი იოსების ძე **ჯიბლაშვილი** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 36 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1974 წლის 28 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

68 გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ რედაქციის და სტამბის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ რედაქციის და სტამბის თანამშრომლები:

ირინა ჩერმენის ასული **ბასკაევა** — რედაქციის მემანქანე.

ალექსი დიმიტრის ძე **ბუკულოვი** — რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

ზაქრო ივანეს ძე **გუჩმაზოვი** — რედაქციის განყოფილების გამგე.

ასიათ ბეთას ასული **ჯიოევა** — სტამბის ლინოტიპისტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 28 მარტი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე, 1974 წლის 28 მარტს, განხილულ იქნა „ხულიგნობისათვის“ პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა ქ. თბილისში. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ამ ბრძანებულების განსახორციელებლად.

მეტი ყურადღება ექცევა მოსახლეობაში მოქმედი კანონმდებლობის განმარტებას. წარმოება-დაწესებულებებში პერიოდულად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები სამართლებრივ საკითხებზე. სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის მუშაკები ფართოდ აშუქებენ სამართლის საკითხებს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

ძირითადად კანონით დადგენილ ვადებში ხდება ხულიგნობის საქმეთა მოკვლევა, გამოძიება და სასამართლო ორგანოებში მათი განხილვა. ამასთან გაუმჯობესდა ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ხარისხი.

ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად 1973 წელს, 1970 წელთან შედარებით, ხულიგნობისათვის მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა ქ. თბილისში საგრძნობლად შემცირდა.

№ 3/

მიუხედავად ამისა, ხულიგნობასთან ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ ა[illegible]ლი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოები, ქალაქის აღმინისტრაციული ორგანოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ხულიგნობის ხელშემწყობი პირობების და მიზეზების დადგენას.

ადგილი აქვს მოკვლევის, გამოძიების და სასამართლო ორგანოებში ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის ფაქტებს (კალინინის, ორჯონიკიძის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებები).

თბილისის ქალაქის პროკურატურის ორგანოები ზოგჯერ არღვევენ გამოძიების ვადას, ხოლო ქალაქის სახალხო სასამართლოები აგვიანებენ საქმეთა განხილვას.

მილიციის ორგანოები ხშირად არღვევენ წვრილმანი ხულიგნობის მასალების სახალხო სასამართლოსთვის გადაგზავნის ვადებს, სახალხო მოსამართლეები კი ამ კატეგორიის საქმეებს თავის მხრივ განხილავენ რამდენიმე დღის დაგვიანებით. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ სახალხო მოსამართლეები არასამუშაო დღეებში ყოველთვის არ მორიგეობენ.

საქმეთა გამოძიება და სასამართლოში განხილვა ჭიანურდება იმის გამოც, რომ არ სრულდება კანონის მოთხოვნა ხულიგნობისათვის წინასწარ პატიმრობაში აყვანის შესახებ.

ხულიგნობის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას ხელს უშლის მოკვლევის და გამოძიების უხარისხოდ ჩატარება და უკანონო განაჩენების გამოტანის ფაქტები.

განაჩენების გაუქმება და შეცვლა უმთავრესად გამოწვეულია ჩადენილი დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციით. არის შემთხვევები, როდესაც წვრილმან ხულიგნობას აკვალიფიცირებენ როგორც ხულიგნობას და პირიქით.

სახალხო სასამართლოები, ხშირად, მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, განაჩენებში არ უთითებენ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას — სიმთვრალეს.

ქალაქ თბილისის სახალხო სასამართლოები უგულვებელყოფენ მშრომელთა კოლექტივების როლს ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამით უნდა აიხსნას, რომ 1973 წელს ხულიგნობისათვის პირობით მსჯავრდებული არც ერთი პირი ხელახლა აღზრდა-გამოსწორების მიზნით არ გადაუციათ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კოლექტივებისათვის.

ქალაქ თბილისის სახალხო სასამართლოები იშვიათად იხილავენ ხულიგნობის საქმეებს უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში, საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით, საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობით. იშვიათად გამოაქვთ კერძო განჩინებები.

წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებულ პირებს არასაკმარისად იყენებენ ფიზიკურ სამუშაოზე.

წვრილმანი ხულიგნობის მასალების განხილვისას სახალხო მოსამართლეები ხშირად მხედველობაში არ იღებენ გადაცდომის ხასიათს, სამართალდამრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვევთა პიროვნებას და ნაკლებად იყენებენ სასჯელის ისეთ ზომას, როგორი-ცაა გამასწორებელი სამუშაოები და ჯარიმა.

ძალზე მცირე ოდენობითაა დადაცემული წვრილმანი ხულიგნობის საქ-მეები ამხანაგური სასამართლოებისა და მშრომელთა კოლექტივებისათვის.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოებს 1973 არ შეუმოწმებიათ და არ განუხილავთ სესიებზე და აღმასკომების სხდო-მებზე საკითხი აღნიშნული ბრძანებულების შესრულების მდგომარეობის შე-სახებ.

თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომები და საბჭოების სოციალის-ტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიები, აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, დეპუტატები, აქტივი ვერ უზრუნველყოფენ ღონთობის, მუქთახორობის და ხულიგნობის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შექმნილმა საკოორ-დინაციო საბჭოებმა ჯერ კიდევ სრულად ვერ გაშალეს მუშაობა, რამაც მეტ-ნაკლებად განაპირობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთგვარი პასიურობა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფი-ლაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარების საქმეში.

ქალაქის რიგი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელობა ხულიგნობის ფაქტებს ყოველთვის არ ხდის კოლექტივის საჯარო მსჯელობის საგნად და კმაყოფილდება მხოლოდ დისციპლინური სასჯელით. არის შემთხვევები, რო-დესაც ადმინისტრაციული ორგანოებიდან შემოსული სიგნალები განხილვის გარეშეა დატოვებული.

ზოგიერთი წარმოება-დაწესებულება არ ასრულებს სსრ კავშირის უმაღ-ლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების მე-18 მუხლის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ პირს, რომელიც სჩადის ხულიგნურ მოქმედებას, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ არ მიეცეს პრემია, შეღავათიანი საგზური და გა-დაეწიოს საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი.

ამხანაგური სასამართლოები ხშირად დაგვიანებით იხილავენ მიღებულ მასალებს წვრილმანი ხულიგნობის შესახებ, რაც ნაკლებად ეფექტურს ხდის მათს დადგენილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხულიგნობის შემთხვევები შემცირდა, მისი ხვე-დრითი წონა საერთო დანაშაულში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რჩევა მისცა საქართ-ველოს სსრ პროკურატურას, უმაღლეს სასამართლოს, საქართველოს სსრ შინა-გან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს გადაჭრით გააძლიერონ ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ, უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან არსებული ნაკლო-ვანებანი, რისთვისაც:

უზრუნველყონ ხულიგნობის საქმეებზე მოკვლევის, გამოძიების და სა-ხალხო სასამართლოებში საქმეთა განხილვის კანონით გათვალისწინებული ვა-დების დაცვა;

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღონ ზომები საქმეთა მოკლევის, გამოძიების და განხილვის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენას, **წარდგენებ**ებისა და კერძო განჩინებების შეტანას შესაბამის ორგანოებში, ამასთან მიაღწიონ მათზე პასუხის მიღებას კანონით დაწესებულ ვადაში;

სისხლის სამართლის წესით დასასჯადი ხულიგნობა არ გააიგივონ დანაშაულობებთან, რომლებიც ჩადენილია პირადი მოტივებით და არ ერთვის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, საზოგადოების მიმართ უპატივცემლობა. ამავე დროს ზუსტად იქნეს იგი გამიჯნული წვრილმანი ხულიგნობისაგან;

მიაღწიონ წვრილმანი ხულიგნობის მასალების დანიშნულებისამებრ გადაგზავნას და განხილვას კანონით გათვალისწინებულ ვადებში, ყოველმხრივ ამაღლონ აღნიშნული კატეგორიის სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მშრომელთა კოლექტივებისა და ამხანაგური სასამართლოების როლი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაევალა მიიღოს ზომები, **რომ:**

წვრილმანი ხულიგნობისათვის პატიმრობის, გამასწორებელი სამუშაოს თუ ჯარიმის შეფარდების საკითხი სახალხო მოსამართლეებმა გადაწყვიტონ სამართალდარღვევის ხასიათის, მისი სიმძიმის, დამნაშავის პიროვნების და კონკრეტული გარემოების გათვალ**ისწინებთ;**

წვრილმან ხულიგნობაზე შემოსული მასალის დროულად განხილვის მიზნით უზრუნველყონ სახალხო მოსამართლეთა მორიგეობა უქმე და დასვენების დღეებში;

ხულიგნობის შესახებ საქმეების განხილვა უფრო მეტად წარმოებდეს უშუალოდ საწარმოებსა და დაწესებულებებში, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობით;

პერიოდულად შეამოწმონ ხელახალი აღზრდა-გამოსწორების მიზნით მშრომელთა კოლექტივებისათვის გადაცემულ პირებთან გაწეული აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობა;

სასამართლოებმა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის გამო სასჯელის დანიშვნისას დამნაშავის სიმთვრალე მიუთითონ როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად მიიღოს ზომები, რომ წვრილმანი ხულიგნობისათვის პატიმრობამისჯილი პირები სამუშაოზე გამოიყენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალა:

საბჭოს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაციები და ცალკეული საწარმოებისა და დაწესებულებების, უწყებების, სასწავლებლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფროსების მოხსენებები ხულიგნობისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ ბრძანებულების შესრულების თაობაზე;

მეტი დახმარება გუწიონ საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებთან არსებულ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საზოგადოებრივ საბჭოებს; უფრო ქმედითი გახადონ აღმასკომებთან შექმნილი საკოორდინაციო რიონული საბჭოების მუშაობა, უზრუნველყონ მათი საშუალებით მიკრორაიონებში საბინაო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება;

გააქტიურონ საბჭოების სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების, აღმასკომებთან არსებული შესაბამისი კომისიებისა და საარჩევნო ოლქების მიხედვით დეპუტატების მუშაობა ხულიგნობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს სსრ პროკურატურას რჩევა მიეცა გაძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ პროკურატურას, საქართველოს სსრ იუსტიციისა და ძინაგან საქმეთა სამინისტროებს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალათ მიმდინარე წლის ბოლოს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს დაევალათ უახლოეს დროში დასახონ და გატარონ კონკრეტული ღონისძიებანი ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად; ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა კოლექტივების როლის ამაღლებას ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 28 მარტის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დააჯილდოვა 278 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		21
ქ. რუსთავიდან		3
ქ. ტყიბულიდან		5
ადიგენის	რაიონიდან	6
ახალქალაქის	„	28
ბოგდანოვკის	„	6
ბოლნისის	„	22
გეგეჭკორის	„	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3

დმანისის	რაიონიდან	102
დუშეთის	„	3
ზუგდიდის	„	5
თელავის	„	1
თერჯოლის	„	4
თიანეთის	„	7
კასპის	„	8
ონის	„	3
საგარეჯოს	„	11
ყვარლის	„	17
ჩოხატაურის	„	10
წითელწყაროს	„	5
ხაშურის	„	4
ხობის	„	6

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 7 და 22 მარტის ბრძანებულებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

გარდაბნის რაიონის გამარჯვების სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ახალი სამგორი და შეიქმნა ახალი სამგორის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ახალ სამგორში.

ქესალოს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ულიანოვკა და რუისბოლო და შეიქმნა ულიანოვკის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ულიანოვკაში.

გლდანის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ლენინისა და წითელუბანი და მიეკუთვნა ნორიოს სასოფლო საბჭოს.

გამარჯვების სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდა რწმუნებანი ახალი სამგორის სასოფლო საბჭოში, ქესალოს სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს — ულიანოვკის სასოფლო საბჭოში, ხოლო ნორიოს სასოფლო საბჭოში — სოფლების ლენინისის და წითელუბნის ტერიტორიიდან გლდანის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს.

გარდაბნის რაიონს გამოეყო გლდანის, დიღმის და ლისის სასოფლო საბჭოები და ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაეცა **მცხეთის რაიონს.**

გარდაბნის რაიონულ საბჭოში გლდანის, დიცმის და ლისის სასოფლო საბჭოების ტერიტორიიდან არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი მცხეთის რაიონულ საბჭოში.